2018 წლის 18 მაისი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.33). სხდომის მონაწილე სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

რაჟდენ კუპრაშვილი- კომისიის თავმჯდომარე

დავით ახალაური- წევრი

ლელა ბჟალავა - წევრი

სხდომას არ ესწრებოდნენ წევრები- **ნუნუ კვანტალიანი და თეიმურაზ მესხი**

ქეთევან ჯაფარიძე- სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

სხდომის დაწყების დრო- 15:00 საათი

დღის წესრიგი:

1. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 29-ე მუხლის, მე-5 პუნქტის თანახმად, ასოციაციის საფინანსო საქმიანობის შემოწმების, ასევე, ამავე მუხლის პირველი პუნქტის

თანახმად, კანონის და წესდების შესრულებისა და ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, ასოციაციის 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური აუდიტის ჩატარებისთვის გამოცხადებული კონკურსის პერიოდში (მ/წ 16 აპრილი 04 მაისის ჩათვლით) შემოსული აუდიტორული ფირმების განაცხადებების განხილვა.

სარევიზიო კომისიის კოორდინატორმა - ქეთევან ჯაფარიძემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ზ/აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ასოციაციაში შემოვიდა 6 აუდიტორული ფირმის განცხადება. წევრებმა განიხილეს ყველა წარმოდგენილი კომპანიის შემოთავაზება:

1. შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“, მომსახურების ღირებულება 5 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

2. კომპანია „ARBITRANS Financial& Business Advisor”, მომსახურების ღირებულება - 5 420 დოლარი დღგ-ს გარეშე.

3. კომპანია „ამაო’, მომსახურების ღირებულება: 17,794 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

4. აუდიტორული კომპანია შპს „ელ. თი. ჯი კონსალტინგი“, მომსახურების ღირებულება - 10 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

5. შპს „ქროუ ჰორვატ ჯე“, მომსახურების ღირებულება 9 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

6. „ეი ჯი ინთერნეიშნალ კონსალტინგი“- მომსახურების ღირებულება - 6974 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

საკონკურსო განაცხადებების განხილვის პროცესში, წევრების მიერ ყურადღება გამახვილდა კომპანიის კვალიფიკაციაზე და შეღავათიანი მომსახურების ფასზე. ორივე კრიტერიუმის გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილ განაცხადს და ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ასოციაციის 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური აუდიტი ჩატარებულ იქნას შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ მიერ. აღნიშნული კომპანიის წარმომადგენელთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზება უზრუნველყოს ასოციაციის აპარატმა მ/წ 30 მაისამდე და ჩასატარებელი სამუშაოს ვადად განისაზღვროს 1 თვე (30 კალენდარული დღე, დაწყების თარიღი: მ/წ 1 ივნისი , ხოლო დასრულების თარიღი - მ/წ 31 ივნისი).

აღნიშნულ საკითხზე წევრებმა ერთხმად მიიღეს

<u>დადგენილება:</u>

1. **შერჩეულ იქნას აუდიტორული ფირმა შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“, რომელიც განახორციელებს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2017 წლის საანგარიშო პერიოდის**

აუდიტორულ შემოწმებას. აღნიშნული მომსახურების გაწევის საფასურად განსაზღვრულია 5000 ლარი (ხუთი ათასი) დღგ-ს ჩათვლით.

შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ მიერ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2017 წლის საანგარიშო პერიოდის აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად, მ/წ 30 მაისამდე ასოციაციის აპარატმა უზრუნველყოს შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წარმომადგენელთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზება. ჩასატარებელი სამუშაოს ვადად განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე (დაწყების თარიღი: მ/წ 1ივნისი, ხოლო დასრულების თარიღი - მ/წ 31 ივნისი).

რაჟდენ კუპრაშვილი- კომისიის თავმჯდომარე

დავით ახალაური - წევრი

ლელა ბჟალავა - წევრი